ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482416546**
თარიღი: **13/06/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „პსპ დაზღვევა“-ს შორის, 2023 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3-2024 ხელშეკრულების პირობების საფუძველზე - მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა FIAT TIPO, სახელმწიფო ნომრით: BB832YY საკუთრების უფლებით გადაეცა სს „პსპ დაზღვევა“-ს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ.'' ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

დანართი ,,2“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

-- ივნისი, 2024 წელი

ქ. წყალტუბო

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის ყოველთვიური საწვავის ლიმიტი:

ა)წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის განპიროვნებულ ავტომობილს TOYOTA LAND CRUISER (ს/ნ JTEBR3FJ30K308912) გამოშვებული 2023 წელს, სახელმწიფო ნომრით SP-818-PP - 600 ლიტრი;

ბ) სამორიგეო ავტომანქანებს 3 ერთეული - სულ 1150 ლიტრი;

ბ.ა) ,,TOYOTA CAMRY” (ს/ნ 4T1BB46K99U062565) გამოშვებული 2008 წელს, სახელმწიფო ნომრით JO-011-OJ – 350 ლიტრი;

ბ.ბ) OPEL VECTRA C“ (ს/ნWOLOZCF6941098156) გამოშვებული 2004 წელს, სახელმწიფო ნომრით CQ-997-QC - 400 ლიტრი;

ბ.გ) მსუბუქი ავტომანქანა ,,FIAT TIPO” (ს/ნ ZFAAF8AP6N6Y40969) გამოშვებული 2022 წელს, სახელმწიფო ნომრით BB-833-YY – 400 ლიტრი;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11).

მოამზადა: **ნ. მჟავია**

შეთანხმებულია: **გ. ყურაშვილი**

ვ. ნადარეიშვილი